განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 12 ივნისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.08.18

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერისტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გოჩა თუთბერიძე** ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო დგვეფაძე** საქართველოს უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკა გეგეშიძე** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**დავით ცირამუა** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან.

თსუ-ში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო მიმართულებით სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს. 1994 წლის 25 აპრილს თსუ სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესახებ, რომლის მიხედვითაც მაგისტრატურის საფეხური ამოქმედდა ყველა ფაკულტეტზე. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში სწავლება შემდეგი სპეციალობებით მიმდინარეობდა: მენეჯმენტი და მიკროეკონომიკა; კომერცია და მარკეტინგი; საერთაშორისო ბიზნესი. მოგვიანებით შეიქმნა სამაგისტრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, რომელმაც 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N01;01.02.2012.).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, თითოეული მოდული მოიცავს 50 კრედიტს. სავალდებულო კვლევითი პროექტი – 10 კრედიტი, სავალდებულო პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი. პროგრამა შედგება, როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ასევე, არჩევითი მოდულებისაგან, რომელთაგანაც მაგისტრანტი ირჩევს მხოლოდ ერთს. პროგრამას აქვს 7 მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე; მენეჯმენტი; საერთაშორისო ბიზნესი; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; მარკეტინგი; ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 11-12 ივნისს. ვიზიტამდე 8 ივნისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, ნინო დგვეფაძე, ეკა გეგეშიძე, დავით ცირამუა) 10 საათიდან და 14:45 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

11 ივნისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნესპროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან;
  - პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა. 2011 წლიდან პროგრამის განხორციელების პერიოდულად შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და მის კურსდამთავრებულებზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 152 გამოკითხული სტუდენტიდან უკვე დასაქმებულია 70%. დასაქმებულთაგან პროფილით დასაქმებულია 80%, ამასთან, დასაქმებულთა 55%-ის შემოსავალი 500-1000 ლარამდე მერყეობს. 2017 წლის მონაცემებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა 88% დასაქმებულია, მათ შორის უმეტესობა (85%) პროფილით არის დასაქმებული;
  - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელების მოთხოვნების ანალიზით გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და განახლება. სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების მეთოდების და ა.შ. განსაზღვრისას ხდება როგორც უახლესი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, ასევე, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება;
  - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მიზნებთან, ასევე, დარგობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან და პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს იმ უნარებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დასადგენად პროგრამის მიზნები, ასევე, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის მიზანი შედარდა სასწავლო კურსის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი (53%) სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე;

  - პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა აკადემიური პერსონალიც. შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლთა რეკომენდაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება, ყურადღების გამახვილება ღირებულებების გამომუშავებაზე;

- პროგრამის სწავლის შედეგებზე სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუმცა, სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ სტუდენტების გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მათი 65% ამ ინფორმაციას მხოლოდ ნაწილობრივ იღებს;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, ასევე, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში ,,ეკონომიკის პრინციპები". თუმცა, მხოლოდ „ეკონომიკის პრინციპებში" გამოცდის ჩაბარება ვერ იქნება საკმარისი სტუდენტის საბაზისო ცოდნის დასადგენად, ვინაიდან, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 7 მოდულის სწავლებას თითოეულის 50 კრედიტის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ უმჯობესია, საბაზისო განათლების ხარისხის დასადგენად, შიდა გამოცდამ მოიცვას არა მხოლოდ ეკონომიკის მიმართულება (ეკონომიკის პრინციპები მაინც ეკონომიკაა) არამედ, მოდულებიც;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განახლებული ვერსია შეიმუშავა შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალმა. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები. პროფესორთა სხდომამ აირჩია კოორდინატორი, რომელმაც კოორდინაცია გაუწია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესს. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცა კომიტეტს. პროგრამის ხელმძღვანელებმა და კოორდინატორმა უზრუნველყვეს კომიტეტის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში.
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.
- პროგრამის სტრუქტურაში 120 ECTS კრედიტი შემდეგნაირად არის განაწილებული: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, მოდულისთვის სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი, არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი"- 5 კრედიტი), კვლევითი პროექტი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი.
- პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისაგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ 7 ასეთი მოდულია: 1. ფინანსები და საბანკო საქმე; 2. მენეჯმენტი; 3. საერთაშორისო ბიზნესი; 4. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; 5. მარკეტინგი; 6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი; 7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი;
- პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია: მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები; მარკეტინგის მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი; მმართველობითი აღრიცხვა II; გლობალური ბიზნესი; კვლევითი პროექტი; პროფესიული პრაქტიკა; სამაგისტრო ნაშრომი;
- ზოგად სავალდებულო მოდულში არ ისწავლება ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა „ბიზნესის კვლევის მეთოდები", ისწავლება მმართველობითი აღრიცხვა II, მაგრამ არ

ისწავლება ფინანსური აღრიცხვა, რომელიც მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობაა. იმ სტუდენტებს, რომელებსაც არ აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების ბალავარის ხარისხი ან იგივე ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებს, რომლებსაც არ ქონდათ არჩეული „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის“ მოდული, არ ექნებათ გავლილი მმართველობითი აღრიცხვა I, ძალიან გაუჭირდებათ მმართველობითი აღრიცხვა II სასაწავლო კურსის დაძლევა. არ ისწავლება სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტი, ინვესტიციების მართვა და ა.შ. აღნიშნული სასწავლო კურსები ისწავლება მოდულებში, რომელსაც ირჩევს სტუდენტი. ამასთან, სტუდენტი ირჩევს ერთ რომელიმე მოდულს და 50 კრედიტის მოცულობით გადის მხოლოდ ამ მოდულში შემავალ სავალდებულო სასწავლო და არჩევით კურსებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ზოგადად ბაკალავრის ხარისხი, ხოლო რაც შეეხება შიდა გამოცდას ის ითვალისწინებს „ეკონომიკის პრინციპების ცოდნას“. ამრიგად, პროგრამაზე შეიძლება მოხვდეს სტუდენტი, რომელსაც არ ექნება საბაზისო განათლება ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით. შესაბამისად, ასეთ სტუდენტს გაუჭირდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო და არჩევითი სტატუსის სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

- პროგრამა მაგისტრანტებს თავაზობს არჩევით მოდულებს, რომელთა საშუალებით სტუდენტს შეუძლია ცოდნა გააძლიეროს მარკეტინგის, მენეჯმენტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით. თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები მეტწილად გამომდინარეობენ სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან;
- პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას 10 კრედიტის მოცულობით. გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით კათედრის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისი კათედრიდან გამოყოფილია დარგის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან, მემორანდუმები სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად;
- თუმცა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და დამსაქმებლები უკმაყოფილოები არიან პრაქტიკული კომპონენტის მოცულობით საგანმანათლებლო პროგრამაში და მათი სურვილია პრაქტიკა/სტაჟირებას უფრო მეტი კრედიტები დაეთმოს;

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული სტუდენტების 65 პროცენტი ითხოვს პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდას, ხოლო ბიზნესის სფეროდან დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ პროფესიული მომზადების თვალსაზრისით კურსდამთავრებულთა ხარვეზად დამსაქმებელთა 76%-ს მიაჩნია პრაქტიკული სამუშაოსთვის მზაობა/უნარების ნაკლებობა;

- საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას;
- დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი;
- მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზით დადგინდა სწავლა-სწავლების მეთოდების ასპექტით გამოვლენილი ტენდენციები. მაგალითად, ფაკულტეტის გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა ითხოვს, რომ უფრო მეტად იქნას გამოყენებული სწავლების აქტიური ფორმები, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიები;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე, მაგრამ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევით სტუდენტთა ფაკულტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 54% მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ იღებს უკუკავშირს მიღწეული სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ;
- პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში მეტწილად უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები და გარემო. სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციას როგორც აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, ისე კარიერული განვითარების მიმართულებით, თუმცა აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება;
- დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევის შედეგები, რაც ზოგიერთი მიმართულებით სტუდენტთა უკმაყოფილებაზე მიუთითებს - მათ შორის ძირითადი მიმართულებებია კონსულტაციები, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სერვისები, აკადემიური მიღწევების გაუმჯიობესებისათვის საჭირო დახმარება და ა.შ.;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და შესაბამისი მიმართულებით სტუდენტების დაკვალიანებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებაში არის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის მუშაობაც, როგორც კვლევის შედეგებით, ისე დაწესებულებაში ვიზიტისას შეფასდა პოზიტიურად;

- სტუდენტებთან ინტერვიუსას ასევე გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ, სტუდენტები არ იცნობდნენ მათთვის დაწესებულ რეგულაციებს (ეთიკის კოდექსი, დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები).
- ზედაპირულია პლაგიატის წინააღმდეგ არსებული საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაზე წვდომაც, თუმცა დაწესებულება გეგმავს შესაბამისი პროგრამის ინტეგრირებას სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში;
- დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს ინდივიდუალური კონსულტაციები სტუდენტებთან სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა აღნიშნული სერვისებით კმაყოფილების მაჩვენებელი დაბალია (გამოკითხულთა 1/5). რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომისათვის საჭირო კონსულტაციებს, სტუდენტებთან და შესაბამის პერსონალთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტში პოზიტიური სურათია;
- დაწესებულება აქტიურად ახორციელებს გაცვლით პროგრამებს სტუდენტებისათვის და გეგმავს პროგრამის სრულ ინტერნაციონალიზაციას. დაწესებულების ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში. ერთადერთი გარემოება, რა მიმართულებითაც სასურველი იქნებოდა მუშაობის გაძლიერება, სტუდენტთა ინფორმირებაა გაცვლითი პროგრამებისა და სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- დაწესებულებაში ხშირად ტარდება პროგრამასთან შინაარსობრივ თანხვედრაში მყოფი ღონისძიებები, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით;
- დაწესებულებაში ტარდება დასაქმების ფორუმები. კარიერული განვითარების მიმართულებით დაწესებულება თანამშრომლობს სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, ხშირ შემთხვევაში თანამშრომლობა თვალსაჩინო შედეგებს იძლევა. სასურველი იქნებოდა დაწესებულებას სხვა მიმართულებითაც გაეძლიერებინა სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 20 ECTS მოცულობისაა. მაგისტრობის კანდიდატი მოდულის შესაბამისად ირჩევს სავარაუდო თემას და შემდეგ ხდება შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ხელმძღვანელის შერჩევა;
- მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დადასტურდა, როგორც სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში, ისე უკვე დაცული სამაგისტრო ნამუშევრებისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალის ნაშრომებისა და კვალიფიკაციის შესწავლისას;
- სამაგისტრო პრორამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა გარემოება, რომ ხელმძღვანელებს ხშირ შემთხვევაში უწევთ ბევრად მეტი ძალისხმევის გამოჩენა სტუდენტებთან მუშაობისას, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ძირითად მიზეზებად სახელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ხარვეზი და აკადემიური წერისათვის და კვლევების ჩასატარებლად საჭირო უნარებისა და ცოდნის ნაკლებობა;

- სტუდენტებთან ინტერვიუსას კი გაირკვა, რომ სტუდენტების უმრავლესობა, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომზე მომუშავე სტუდენტები, არ იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსს, რასაც აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის არ ქონით ხსნიან.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 60 აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, მათ შორის აკადემიური 48 კაცი, რომელთა შორის პროფესორია 11, ასოცირებული პროფესორი 27, ხოლო ასისტენტ პროფესორი 10, ყველა მათგანი აფილირებულია. სასწავლო პროცესში ჩართულია 12 მოწვეული პერსონალი.
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შეადგენს 61-ს.
- 2013-2018 წლებში აკადემიური პერსონალის რაოდენობა შემცირდა 4 ერთეულით, ხოლო 2013-2018 წლებში მოწვეული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 5 ერთეულით;
- პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) შემდეგნაირია: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 276, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 178, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 158, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები131. სამეცნიერო გრანტებში ჩართულობა 50, ხოლო ტრენინგებში ჩართულობა 51;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებით და სხვა დამხმარე დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. ამასთანავე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- 2015-2016 წლებში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდა 15 მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტი. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელდა 8 მიზნობრივი სამეცნიერო პროექტი. აღნიშნულ გრანტებში მონაწილეობა მიიღო 35 ძირითად შტატში მყოფმა და 2 მოწვეულმა პროფესორმა, სულ 37 პროფესორმა;
- ამ პროექტებში პროფესორებთან ერთად მონაწილეობდნენ მაგისტრანტებიც. კვლევის შედეგები დაიბეჭდა ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში. მთელ რიგ პუბლიკაციებში ავტორებად წარმოდგენილია მაგისტრანტებიც.
- 2013-2017 წლებში ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და ძირითადი აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობით ჩატარდა სამი ადგილობრივი და ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;
- აკადემიური პერსონალი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობას ღებულობს გავლით პროექტებში მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში. პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების პარალელურ რეჟიმში ისინი ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. 2014-2015, 2015-2016, 2017-2018 სასწავლო წლებში გაცვლითი

პროექტში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან მონაწილეობდა 5 მკვლევარი (მარი კიურის პროგრამით - 1; ერაზმუს + პროგრამით - 4).

- თსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ხორციელდება თსუ-ს მეათე კორპუსში, გამოცდებისთვის ასევე იყენებენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზებს. თსუ მეათე სასწავლო კორპუსის, საერთო ფართობია 23000 მ2, ხოლო სააუდიტორიო ფართობი - 5140მ2. აუდიტორიების რაოდენობა - 114. სტუდენტების განთავსებისათვის აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა შეადგენს 4643-ს;
- კორპუსში ფუნქციონირებს 8 ლიფტი, შენობა მყარია, გადახურვა ახალი გამოცვლილი, ფანჯრები, სანიტარული კვანძები წესრიგშია;
- ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პრაქტიკული ცენტრები, აღრიცხვა, ანალიზის და აუდიტში, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებში. ამასთანავე სასწავლო კორპუსში, რომელშიც ხორციელდება პროგრამა, 2016 წელს შეიქმნა ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო კვლევითი ლაბორატორია. ლაბორატორიაში დანერგილია სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტებისათვის. სტუდენტებს აქვთ საშუალება იმუშაონ პლატფორმასთან და გაეცნონ უახლოეს ტენდენციებს, მიიღონ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ბაზრებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში დასაქმებული პროფესიონალისათვის;
- ფაკულტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ და განახორციელონ საკუთარი ბიზნეს იდეები, შექმნან სასურველი პროდუქციის პროტოტიპები და პირველი ნაბიჯები გადადგან საკუთარი Start-Up ბიზნესის დასაწყებად. თსუ-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (Fab Lab) აღჭურვილია უახლესი 3D პრინტერით, 3D სკანერით, თანამედროვე ლაზერული მჭრელით, პროგრამირებადი ჩარხით (CNC) და სხვა;
- სასწავლო პროგრამას გააჩნია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა;
- წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და სევე სხვა სახის ლიტერატურით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას;

- ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და ასევე სტუდენტები;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სულ დასაქმებულია 3 პირი, მათ შორის სამსახურის უფროსი, 2 უფროსი სპეციალისტი და 1 სპეციალისტი კონტრაქტით;
- პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: ა) სტუდენტები; ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი და მასწავლებლები; გ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები - ქართველი და უცხოელი სპეციალისტები; დ) პოტენციური დამსაქმებლები; ე) პროგრამის კურსდამთავრებულები; ვ) პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებსა და აკადემიურ საბჭოებს;
- დაწესებულებაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. დამტკიცებულია თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამას ზოგად სავალდებულო მოდულში დაემატოს საგანი „ბიზნესის კვლევის მეთოდები", რაც გაუმჯობესებს სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამას ზოგად სავალდებულო მოდულში დაემატოს საგანი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა";
- შემცირდეს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს ზოგად სავალდებულო მოდულის კრედიტების მოცულობა:
  - ფინანსური აღრიცხვა II გადმოვიდეს ზოგად სავალდებულო მოდულში და ის განისაზღვროს მენეჯერული აღრიცხვა II წინაპირობად;
  - სტრატეგიული მენეჯმენტი მენეჯმენტის მოდულიდან გადმოვიდეს ზოგად სავალდებულო მოდულში;

- იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში, შეთავაზებული იქნას არჩევითი სასწავლო კურსებად: მენეჯერული ეკონომიკა, მმართველობითი აღრიცხვა I და ფინანსური აღრიცხვა I;
- ზოგადი სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსი „ფინანსური მენეჯმენტი“ თავისი შინაარსით, ლიტერატურით და სწავლის შედეგებით არ პასუხობს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს. ის წარმოადგენს შესავალ კურსს ფინანსურ მენეჯმენტის საფუძვლებში, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატის საფეხურზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ფინანსური მენეჯმენტის“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს ისე, რომ მისი შინაარსი, ლიტერატურა და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან;
- ზოგადი სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსი „კვლევითი პროექტი“. ამ სასწავლო კურსს არ გააჩნია სილაბუსი, სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევში არის ასეთი ჩანაწერი: „**კვლევითი პროექტი** – სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი პროექტის დაცვა. მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 25 გვერდისა. მისი დაცვა ხდება მე–2 გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. კვლევითი პროექტის გაფორმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ანალოგიურია. შეფასება ხდება იგივე სისტემით, დაცვა – კომისიაში“. ამ სასწავლო კურსს ეთმობა 10 კრედიტი, შესაბამისად, სტუდენტების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობისათვის, დაწესებულება ვალდებულია გაწეროს აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგები ცალკე დოკუმენტის სახით;
- **მოდული „საერთაშორისო ბიზნესი“:**
    - სავალდებულო სასწავლო კურსი **„საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა“.** აღნიშნული სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურად მითითებულია: ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2009. 263 გვ.; გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა, თბ., 2015. 496 გვ. დამხმარე ლიტერატურად: ლოკიე ფ., ბლეიდსი დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემის თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2015 (ელ. ვერსია). *საგნის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში.* „საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის“ სასწავლო კურსი ან უნდა ამოღებულ იქნას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი, ასევე ცხადია, ლიტერატურა და სწავლის შედეგები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში;
    - სავალდებულო სასწავლო კურსი „ლოგისტიკა“ . ძირითად ლიტერატურად მითითებულია ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., ლოგისტიკა, თბ., 2012. გვ. 125. სილაბუსის შინაარსიც ამ სახელმძღვანელოს მიხედვითაა აგებული. უნდა შეიცვალოს „ლოგისტიკის“ სასწავლო კურსის ლიტერატურა, სილაბუსის ავტორებმა უნდა შეარჩიონ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის მიზნების და შედეგების შესატყვისი სახელმძღვანელო, ხოლო ამჟამად გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა შესთავაზონ დამხმარე წყაროებად მაგისტრანტებს;

- სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“. აღნიშნული სასწავლო კურსი გადმოტანილ იქნას ზოგადი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსად;

- არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები“ . აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აღწერას, რომლის შესახებ ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომია სოციალურ ქსელში. ძირითად ლიტერატურად მითითებულია „ლ. ხიხაძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, სალექციო კურსი, 2018, გვ. 219“. სასწავლო კურსს ეთმობა 5 კრედიტი. ამ შინაარსით და კრედიტების ამ მოცულობით, ასეთი სასწავლო კურსის შეთავაზება მაგისტრატურის საფეხურზე გაუმართლებელია. შესაბამისად, „საერთაშორისო ორგანიზაციების“ სასწავლო კურსი უნდა ჩანაცვლდეს სხვა მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;

- არჩევითი სასწავლო კურსი „ოფშორული ბიზნესი“. მაგისტრანტები აღნიშნულ კურსს 5 ECTS მოცულობით გადიან 2003 წელს გამოცემული 134 გვერდიანი სახელმძღვანელოთი. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი ან უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან ან უნდა შეამციროს კრედიტების მოცულობა მაგ, 1-2 კრედიტამდე და ცხადია სასწავლო კურსი უნდა დაეყრდნოს თანამედროვე ლიტერატურულ წყაროებს.

- **მოდული „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“:**
  - სასწავლო კურსი „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“. საგნის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში. ძირითად ლიტერატურად მითითებულია ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკის თეორია, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005, 347 გვერდი და დევიდ რ. ანდერსენი, დენის ჯ. სვინი, თომას ა. უილიამსი. სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის. მე–11 განახლებული გამოცემა. (თარგმანი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2015. აღნიშნული სახელმძღვანელოები, ჩვეულებრივი სტატისტიკის სახელმძღვანელოებია, რომლითაც ბაკალავრიატის საფეხურზე ასწავლიან ბიზნესის სტატისტიკის სასწავლო კურსს. „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“ სასწავლო კურსი ან უნდა ამოღებულ იქნას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი, ასევე ცხადია, ლიტერატურა და სწავლის შედეგები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში;
- **მოდული „მენეჯმენტი“:**
  - სავალდებულო სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“. აღნიშნული სასწავლო კურსი შეთავაზებულ უნდა იქნას ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
  - არჩევითი სასწავლო კურსი „მმართველობითი კონსალტინგი“. თავისი შინაარსითა და ლიტერატურით არ პასუხობს მაგისტრატურის საფეხურს. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან და ჩაანაცვლოს იგი მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;

- არჩევითი სასწავლო კურსი „საინვესტიციო პროექტების მართვა“ დასახელება, შინაარსი და ლიტერატურა სრულ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან და მაგისტრატურის საფეხურთან. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან და ჩაანაცვლოს იგი მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;

- **მოდული ფინანსები და საბანკო საქმე:**
  - სავალდებულო სასწავლო კურსი „ფინანსური სისტემა და რეგულირება“-ის დასახელება, შინაარსი გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით აცდენილია ერთმანეთს და იმავდროულად არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს. ძირითადი ლიტერატურა: ა. გაბელაია, ფინანსები, თბილისი 2011; David N. Himan, Public Finance, A contemporary Application of Theory to Policy, 10th edition; რიდერი „ფინანსური სისტემა და რეგულირება“ 2017 წ. 473 გვ. თემატიკა მიჰყვება ა. გაბელაიას ფინანსებს, რომელიც თავისი შინაარსით არის ფინანსების შესავალი კურსი ბაკალავრებისათვის, ხოლო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო წარმოადგენს საჯარო ფინანსებს, რომელშიც არ განიხილება ფინანსური სისტემის მიკროპრუდენციული რეგულირების საკითხები. დაწესებულებამ უნდა გადაამუშაოს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი და შესთავაზოს მაგისტრებს ფინანსური სისტემის რეგულირების სასწავლო კურსი, რომლის თემატიკაში ასახული იქნება ფინანსური სისტემის რეგულირების აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე;
  - სასწავლო კურსი „საბანკო სისტემის საერთაშორისო რეგულირება“-ის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში. ამასთან, აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის ლიტერატურის საფუძველზე, რომლებიც უკვე ძალიან მოძველებულია და ასახავენ ბაზელი II-ის მიდგომებს, რომელსაც საქართველოს საბანკო სისტემა უკვე არ იყენებს და გადასულია ბაზელი III-ის რეკომენდაციების იმპლემენტაციაზე. („კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2007, **www.nbg.gov.ge;** საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2006, **www.nbg.gov.ge**). სასწავლო კურსის დასახელება უნდა მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, კერძოდ სიტყვა „საერთაშორისო“ არანაირი დატვირთვის მატარებელი არ არის, და ამოსაღებია, ხოლო სილაბუსის შინაარსი უნდა დაეყრდნოს ახალ ლიტერატურას, რომელიც ასახავს არსებულ მდგომარეობას საბანკო სისტემის რეგულირების სფეროში;

- სტუდენტებს გაეცნოს ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს და ვალდებლებებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტუდენტის სტატუსზე. მათ შორის აუცილებელია დაწესებულებაში გაიზარდოს პლაგიატის შესახებ არსებული ცნობიერება;
- სტუდენტებს მიეწოდოთ სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ეფექტური საკომუნიკაციო გზებით მიმდინარე გაცვლით პროგრამებზე, აქტიურ ვაკანსიებზე, სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების შესაძლებლობებზე და ა.შ;
- გადაიხედოს სტუდენტებთან საკომუნიკაციო არხები და უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ეფექტური გავრცელება;

- მიზანშეწონილია დაწესებულებამ გაიზიაროს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პოზიცია და გაზარდოს პრაქტიკის კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულების ფარგლებში შესთავაზოს სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები;
- სტუდენტებს გაეცნოთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის რესურსი, რათა სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენონ უახლესი კვლევები;
- საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად. კერძოდ, მეათე კორპუსის შენობის არა აუდიტორული სივრცეები გარემონტდეს, მოეწყოს სტუდენტების სამუშაო კუთხეები მობილურის, პლანშეტებისა და კომპიუტერებისთვის მუდმივი დენის წყაროთი. უფრო მეტ აუდიტორიაში იყოს ხელმისაწვდომი პროექტორი და კომპიუტერი. დაიდგას ყავის, გამაგრილებელი სასმელების და წახემსების აპარატები;
- ზოგიერთი მიმართულებით საჭიროა ლიტერატურის გადახალისება ძირითადად მოდულებში, მაგალითად ტურიზმში, მარკეტინგსა და ფინანსებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა, პროგრამაში ჩართულმა პირებმა, ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა უზრუნველყონ სტუდენტების ფართო ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში;
  - საბაზისო განათლების ხარისხის დასადგენად, უმჯობესია შიდა გამოცდამ მოიცვას არა მხოლოდ ეკონომიკის მიმართულება (ეკონომიკის პრინციპები მაინც ეკონომიკაა) არამედ, მოდულებიც;
  - გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოდულის არჩევის შემდეგ შესაბამისი ცოდნის არ ქონის გამო სამაგისტრო ნაშრომის შეუსრულებლობა;
  - კარგი იქნება ფინანსების და აღრიცხვის საგნები ტარდებოდეს ინფორმაციული ცხრილების (მაგალითად ექსელის) გამოყენებით და არსებობდეს შესაბამისი საკლასო ოთახები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე არის შესრულებული, სრულად და ამომწურავად პასუხობს პროგრამული აკრედიტაციით განსაზღვული სტანდარტის მოთხოვნებს. თვითშეფასებაში სრულადაა ჩართული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები და თან ახლავს სათანადო ანალიზი;
- ფაკულტეტს ფინანსების ლაბორატორიაში აქვთ წვდომა საინფორმაციო პლატფორმაზე - Bloomberg Professional, რომელსაც იყენებს 320 ათასზე მეტი ბიზნეს ლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოს მასშტაბით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2011 წლიდან დღემდე პროგრამაში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა: შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსის ავტორები/ლექტორები; დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება; დაზუსტდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მიზნები, შედეგები, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები; განახლდა ლიტერატურა და სასწავლო კურსების შინაარსი/თემატიკა; დაზუსტდა პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები; პროგრამის სავალდებულო დისციპლინა „მმართველობითი აღრიცხვა I" შეიცვალა სასწავლო კურსით „მმართველობითი აღრიცხვა II"; შეიცვალა მოდულის საბუღალტრო აღრიცხვა" სახელი დასახელებით „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი"

მოდულში „მენეჯმენტი":

დისციპლინა „ბიზნეს გარემოს სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება" შეიცვალა სასწავლო კურსით „ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება"; ამოღებულია დისციპლინა „რაოდენობრივი ანალიზი მენეჯმენტში", „საზოგადოებრივი ადმინისტრირება", „კორპორაციული მენეჯმენტი", „ლიდერული უნარ-ჩვევები". მოდულში შემოტანილია ახალი სასწავლო კურსები: „დროის მენეჯმენტი", „ლიდერობა", „საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი", „კონკურენტული სტრატეგიები", „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა", „მმართველობითი კონსალტინგი".

მოდულში „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი":

ამოღებულია სასწავლო კურსი „რესურსების მართვის სისტემა „Exact Globe 2003". მოდულში შემოტანილია ორი ახალი სასწავლო კურსი: ,,საწარმოს რესურსების მართვის სისტემა" და „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ბალანსი".

მოდულში „ მარკეტინგი"

ამოღებულია სასწავლო კურსი „ელექტრონული კომერცია", „საცალო ვაჭრობა", „ინფორმაციული ტექნოლოგიები მარკეტინგში". სასწავლო კურსს "B2B მარკეტინგი" შეეცვალა სახელი და ეწოდა „ბიზნეს მარკეტინგი". მოდულში შემოტანილია ახალი სასწავლო კურსები: „ლოგისტიკა", „საზოგადოებასთან ურთიერთობები", „მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში".

მოდულში „საერთაშორისო ბიზნესი":

ამოღებულია სასწავლო კურსები „ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიები", „საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები", „საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება", „საერთაშორისო ფინანსები", „საერთაშორისო ვაჭრობა", „ორგანიზაციული განვითარება", „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება", „საქმიანი
თამაშები". მოდულში შემოტანილია ახალი სასწავლო კურსები: „კვლევის მეთოდები
ბიზნესში", „საერთაშორისო ლოგისტიკა", „საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები", „საერთაშორისო ბიზნესის ტრანსაქციები", „ეკონომიკური დოქტრინები", „საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა", „საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა", „ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი", „საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგია", „საერთაშორისო ორგანიზაციები", „ოფშორული ბიზნესი".

მოდულში „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი":

ამოღებულია სასწავლო კურსი „ალტერნატიული ტურიზმი", „ტურიზმის კრეატიულობა და განვითარება", „საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი", „კვლევის დაგეგმვა ტურიზმსა და მასპინძლობაში", „ადამიანური რესურსების განვითარება ტურიზმში". მოდულში შემოტანილია სასწავლო კურსები: „მასპინძლობის მენეჯმენტი", „ტურიზმი და რეგიონული განვითარება", „კვლევის მეთოდები ტურიზმში", „სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში".

მოდულში „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი":

ამოღებულია სასწავლო კურსი „ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება",

„ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური საზღვრის მართვაში“. მოდულში შემოტანილია: „ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ის და SPSS-ის გარემოში“, „ ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნას, შენახვასა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას; თავისუფალი სამყაროს ღირსეულ წევრობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ადასტურებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადად, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა. 2011 წლიდან პროგრამის განხორციელების პერიოდულად შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე არსებობს მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და მის კურსდამთავრებულებზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 152 გამოკითხული სტუდენტიდან უკვე დასაქმებულია 70%. დასაქმებულთაგან

პროფილით დასაქმებულია 80%, ამასთან, დასაქმებულთა 55%-ის შემოსავალი 500-1000 ლარამდე მერყეობს. 2017 წლის მონაცემებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა 88% დასაქმებულია, მათ შორის უმეტესობა (85%) პროფილით არის დასაქმებული. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელების მოთხოვნების ანალიზით გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და განახლება. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განსაზღვრას საფუძვლად უდევს დასაქმების მაჩვენებლები დარგების მიხედვით, პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების ინტეგრირებისას დგინდება მათი კავშირი დამსაქმებლების მოთხოვნებთან, პროგრამაში ჩართულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების მეთოდების და ა.შ. განსაზღვრისას ხდება როგორც უახლესი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, ასევე, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია (https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/) ○ თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2018-2024_93990.pdf) ○ თვითშეფასების კითხვარი; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მიზნებთან, ასევე, დარგობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან და პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს იმ უნარებს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დასადგენად პროგრამის მიზნები, ასევე, პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის მიზანი შედარდა სასწავლო კურსის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი (53%) სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობდა აკადემიური პერსონალიც. შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებლთა რეკომენდაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ სწავლებაზე მეტი ორიენტირება, სწავლების მეთოდებისა და კვლევის უნარების გაუმჯობესება, ყურადღების გამახვილება ღირებულებების გამომუშავებაზე. პროგრამის შედეგებზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეკომენდაციები და შენიშვნებიც.

პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ დამუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მკაფიოდ ასახავს რომელი სასწავლო კომპონენტის მიერ მიიღწევა შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის შემუშავდა სპეციალური ცხრილი, სადაც წარმოდგენილია პროგრამით გათვალისწინებული ის შედეგები, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროგრამაში წარმოდგენილი

სასწავლო კურსები და ამ შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების მეთოდები. აღნიშნული ცხრილი აჩვენებს, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლების შედეგებთან.

პროგრამის სწავლის შედეგებზე სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუმცა, სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ სტუდენტების გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მათი 65% ამ ინფორმაციას მხოლოდ ნაწილობრივ იღებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77/2011 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობის რუკა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა, პროგრამაში ჩართულმა პირებმა, ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა უზრუნველყონ სტუდენტების ფართო ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, ასევე, სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში ,,ეკონომიკის პრინციპები“. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებით. პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესებით. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არის გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი. პროგრამაზე

მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ „პროგრამის უპირატესობა ის არის, რომ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარდა, დამატებითი გამოცდის დაწესება საშუალებას იძლევა პროგრამაზე სწავლა გააგრძელონ იმ სტუდენტებმა, რომლებსაც აქვთ სათანადო საბაზისო განათლება ამ სფეროში“, თუმცა, მხოლოდ „ეკონომიკის პრინციპებში“ გამოცდის ჩაბარება ვერ იქნება განხილული ასეთ მექანიზმად. ვინაიდან, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 7 მოდულის სწავლებას თითოეულის 50 კრედიტის ფარგლებში, ალბათ უმჯობესია, საბაზისო განათლების ხარისხის დასადგენად, შიდა გამოცდამ მოიცვას არა მხოლოდ ეკონომიკის მიმართულება (ეკონომიკის პრინციპები მაინც ეკონომიკაა) არამედ, მოდულებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ○ მაგისტრატურაში მიღების წესი: 1) მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ვადები და წარსადგენი დოკუმენტაცია: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/pr/news/Xgo_Bl3PcKlH me79/?p=12) ○ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/debuleba_18957.pdf ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საბაზისო განათლების ხარისხის დასადგენად, უმჯობესია შიდა გამოცდამ მოიცვას არა მხოლოდ ეკონომიკის მიმართულება (ეკონომიკის პრინციპები მაინც ეკონომიკაა) არამედ, მოდულებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის N153/2017 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ. აღნიშნული რეგულაციის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

აღნიშნული პროცედურების თანახმად, მიმართულების ინიციატივით შეიქმნა დარგობრივი კომიტეტი (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №14/2018 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“) რომლის შემადგენლობაც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განახლებული ვერსია

შეიმუშავა შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალმა. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები. პროფესორთა სხდომამ აირჩია კოორდინატორი, რომელმაც კოორდინაცია გაუწია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესს. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცა კომიტეტს. პროგრამის ხელმძღვანელებმა და კოორდინატორმა უზრუნველყვეს კომიტეტის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

პროგრამის სტრუქტურაში 120 ECTS კრედიტი შემდეგნაირად არის განაწილებული: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, მოდულისთვის სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი, არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (მოდულში „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“- 5 კრედიტი), კვლევითი პროექტი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი.

პროგრამა შედგება როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსებისაგან, ისე სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულებისაგან, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მხოლოდ ერთს. სულ 7 ასეთი მოდულია: 1. ფინანსები და საბანკო საქმე 2. მენეჯმენტი 3. საერთაშორისო ბიზნესი 4. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი 5. მარკეტინგი 6. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი 7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია: მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები; მარკეტინგის მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი; მმართველობითი აღრიცხვა II; გლობალური ბიზნესი; კვლევითი პროექტი; პროფესიული პრაქტიკა; სამაგისტრო ნაშრომი.

ზოგად სავალდებულო მოდულში არ ისწავლება ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა „ბიზნესის კვლევის მეთოდები“, ისწავლება მმართველობითი აღრიცხვა II, მაგრამ არ ისწავლება ფინანსური აღრიცხვა, რომელიც მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობაა. იმ სტუდენტებს, რომელებსაც არ აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების ბალავარის ხარისხი ან იგივე ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებს, რომლებსაც არ ქონდათ არჩეული „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის“ მოდული, არ ექნებათ გავლილი მმართველობითი აღრიცხვა I, ძალიან გაუჭირდებათ მმართველობითი აღრიცხვა II სასაწავლო კურსის დაძლევა. არ ისწავლება სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტი, ინვესტიციების მართვა და ა.შ. აღნიშნული სასწავლო კურსები ისწავლება მოდულებში, რომელსაც ირჩევს სტუდენტი. ამასთან, სტუდენტი ირჩევს ერთ რომელიმე მოდულს და 50 კრედიტის მოცულობით გადის მხოლოდ ამ მოდულში შემავალ სავალდებულო სასწავლო და არჩევით კურსებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ზოგადად ბაკალავრის ხარისხი, ხოლო რაც შეეხება შიდა გამოცდას ის ითვალისწინებს „ეკონომიკის პრინციპების ცოდნას“. ამრიგად, პროგრამაზე შეიძლება მოხვდეს სტუდენტი, რომელსაც არ ექნება საბაზისო განათლება ბიზნესის

ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით. შესაბამისად, ასეთ სტუდენტს გაუჭირდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №14/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ;
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 153, 08.12.17 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან

რეკომენდაციები:

1. პროგრამას ზოგად სავალდებულო მოდულში დაემატოს საგანი „ბიზნესის კვლევის მეთოდები“, რაც გააუმჯობესებს სწავლის შედეგების მიღწევას;
2. პროგრამას ზოგად სავალდებულო მოდულში დაემატოს საგანი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“;
3. შემცირდეს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს ზოგად სავალდებულო მოდულის კრედიტების მოცულობა:
- ფინანსური აღრიცხვა II გადმოვიდეს ზოგად სავალდებულო მოდულში და ის განისაზღვროს მენეჯერული აღრიცხვა II წინაპირობად;
- სტრატეგიული მენეჯმენტი მენეჯმენტის მოდულიდან გადმოვიდეს ზოგად სავალდებულო მოდულში
4. იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში, შეთავაზებული იქნას არჩევითი სასწავლო კურსებად: მენეჯერული ეკონომიკა, მმართველობითი აღრიცხვა I და ფინანსური აღრიცხვა I.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სავალდებულო და არჩევითი სტატუსის სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამა მაგისტრანტებს თავაზობს არჩევით მოდულებს, რომელთა საშუალებით სტუდენტს შეუძლია ცოდნა გააძლიეროს მარკეტინგის, მენეჯმენტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის, საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით. თითოეული სასწავლო

კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები მეტწილად გამომდინარეობენ სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების, სხვა დოკუმენტაციის, ასევე ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუებიდან გამოვლენილ გარემოებების გათვალისწინებით და პროგრამის კომპონენტების შინაარსის, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: 1. ზოგადი სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსი „ფინანსური მენეჯმენტი“ თავისი შინაარსით, ლიტერატურით და სწავლის შედეგებით არ პასუხობს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს. ის წარმოადგენს შესავალ კურსს ფინანსურ მენეჯმენტის საფუძვლებში, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატის საფეხურზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ფინანსური მენეჯმენტის“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს ისე, რომ მისი შინაარსი, ლიტერატურა და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან; 2. ზოგადი სავალდებულო მოდულის სასწავლო კურსი „კვლევითი პროექტი“. ამ სასწავლო კურსს არ გააჩნია სილაბუსი, სამაგისტრო ნაშრომის გზამკვლევში არის ასეთი ჩანაწერი: „**კვლევითი პროექტი** – სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის აუცილებელი წინაპირობაა კვლევითი პროექტის დაცვა. მისი მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 25 გვერდისა. მისი დაცვა ხდება მე–2 გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. კვლევითი პროექტის გაფორმების მიმართ წაყენებული მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ანალოგიურია. შეფასება ხდება იგივე სისტემით, დაცვა – კომისიაში“. ამ სასწავლო კურსს ეთმობა 10 კრედიტი, შესაბამისად, სტუდენტების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობისათვის, დაწესებულება ვალდებულია გაწეროს აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგები ცალკე დოკუმენტის სახით; 3. მოდული „საერთაშორისო ბიზნესი“: • სავალდებულო სასწავლო კურსი **„საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა“.** აღნიშნული სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურად მითითებულია: ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბ., 2009. 263 გვ.; გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა, თბ., 2015. 496 გვ. დამხმარე ლიტერატურად: ლოკიე ფ., ბლეიდსი დ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და

გავიგოთ. მეორე გამოცემის თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2015 (ელ. ვერსია). საგნის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში. „საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკის“ სასწავლო კურსი ან უნდა ამოღებულ იქნას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი, ასევე ცხადია, ლიტერატურა და სწავლის შედეგები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში;

- სავალდებულო სასწავლო კურსი „ლოგისტიკა“ . ძირითად ლიტერატურად მითითებულია ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., ლოგისტიკა, თბ., 2012. გვ. 125. სილაბუსის შინაარსიც ამ სახელმძღვანელოს მიხედვითაა აგებული. უნდა შეიცვალოს „ლოგისტიკის“ სასწავლო კურსის ლიტერატურა, სილაბუსის ავტორებმა უნდა შეარჩიონ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის მიზნების და შედეგების შესატყვისი სახელმძღვანელო, ხოლო ამჟამად გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა შესთავაზონ დამხმარე წყაროებად მაგისტრანტებს;
- სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“. აღნიშნული სასწავლო კურსი გადმოტანილ იქნას ზოგადი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსად;

- არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები“ . აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აღწერას, რომლის შესახებ ინფორმაცია თავისუფლად ხელმისაწვდომია სოციალურ ქსელში. ძირითად ლიტერატურად მითითებულია „ლ. ხიხაძე, საერთაშორისო ორგანიზაციები, სალექციო კურსი, 2018, გვ. 219“. სასწავლო კურსს ეთმობა 5 კრედიტი. ამ შინაარსით და კრედიტების ამ მოცულობით, ასეთი სასწავლო კურსის შეთავაზება მაგისტრატურის საფეხურზე გაუმართლებელია. შესაბამისად, „საერთაშორისო ორგანიზაციების“ სასწავლო კურსი უნდა ჩანაცვლდეს სხვა მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;

- არჩევითი სასწავლო კურსი „ოფშორული ბიზნესი“. მაგისტრანტები აღნიშნულ კურსს 5 ECTS მოცულობით გადიან 2003 წელს გამოცემული 134 გვერდიანი სახელმძღვანელოთი. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი ან უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან ან უნდა შეამციროს კრედიტების მოცულობა მაგ, 1-2 კრედიტამდე და ცხადია სასწავლო კურსი უნდა დაეყრდნოს თანამედროვე ლიტერატურულ წყაროებს.

4. მოდული „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“:
   - სასწავლო კურსი „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“. საგნის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში. ძირითად ლიტერატურად მითითებულია ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკის თეორია, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005, 347 გვერდი და დევიდ რ. ანდერსენი, დენის ჯ. სვინი, თომას ა. უილიამსი. სტატისტიკა

ბიზნესისა და ეკონომიკისათვის. მე–11 განახლებული გამოცემა. (თარგმანი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ.,2015. აღნიშნული სახელმძღვანელოები, ჩვეულებრივი სტატისტიკის სახელმძღვანელოებია, რომლითაც ბაკალავრიატის საფეხურზე ასწავლიან ბიზნესის სტატისტიკის სასწავლო კურსს. „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში“ სასწავლო კურსი ან უნდა ამოღებულ იქნას მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებიდან ან აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება და შინაარსი, ასევე ცხადია, ლიტერატურა და სწავლის შედეგები უნდა მოვიდეს ერთმანეთთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში;

5. მოდული „მენეჯმენტი“:
   - სავალდებულო სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“. აღნიშნული სასწავლო კურსი შეთავაზებულ უნდა იქნას ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
   - არჩევითი სასწავლო კურსი „მმართველობითი კონსალტინგი“. თავისი შინაარსითა და ლიტერატურით არ პასუხობს მაგისტრატურის საფეხურს. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან და ჩაანაცვლოს იგი მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;
   - არჩევითი სასწავლო კურსი „საინვესტიციო პროექტების მართვა“ დასახელება, შინაარსი და ლიტერატურა სრულ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან და მაგისტრატურის საფეხურთან. დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა ამოიღოს მოდულის სწავლებიდან და ჩაანაცვლოს იგი მაგისტრატურის საფეხურის შესაბამისი სასწავლო კურსით;
6. მოდული ფინანსები და საბანკო საქმე:
   - სავალდებულო სასწავლო კურსი „ფინანსური სისტემა და რეგულირება“-ის დასახელება, შინაარსი გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით აცდენილია ერთმანეთს და იმავდროულად არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს. ძირითადი ლიტერატურა: ა. გაბელაია, ფინანსები, თბილისი 2011; David N. Himan, Public Finance, A contemporary Application of Theory to Policy, 10th edition; რიდერი „ფინანსური სისტემა და რეგულირება“ 2017 წ. 473 გვ. თემატიკა მიჰყვება ა. გაბელაიას ფინანსებს, რომელიც თავისი შინაარსით არის ფინანსების შესავალი კურსი ბაკალავრებისათვის, ხოლო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო წარმოადგენს საჯარო ფინანსებს, რომელშიც არ განიხილება ფინანსური სისტემის მიკროპრუდენციული რეგულირების საკითხები. დაწესებულებამ უნდა გადაამუშაოს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი და შესთავაზოს მაგისტრებს ფინანსური სისტემის რეგულირების სასწავლო კურსი, რომლის თემატიკაში ასახული იქნება ფინანსური სისტემის რეგულირების აქტუალური საკითხები თანამედროვე ეტაპზე;
   - სასწავლო კურსი „საბანკო სისტემის საერთაშორისო რეგულირება“-ის დასახელება და შინაარსი არ არის შესაბამისობაში. ამასთან, აღნიშნული

სასწავლო კურსი ისწავლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის ლიტერატურის საფუძველზე, რომლებიც უკვე ძალიან მოძველებულია და ასახავენ ბაზელი II-ის მიდგომებს, რომელსაც საქართველოს საბანკო სისტემა უკვე არ იყენებს და გადასულია ბაზელი III-ის რეკომენდაციების იმპლემენტაციაზე. („კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2007, **www.nbg.gov.ge;** საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. საქართველოს ეროვნული ბანკი. თბ., 2006, **www.nbg.gov.ge).** სასწავლო კურსის დასახელება უნდა მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან, კერძოდ სიტყვა „საერთაშორისო“ არანაირი დატვირთვის მატარებელი არ არის, და ამოსაღებია, ხოლო სილაბუსის შინაარსი უნდა დაეყრდნოს ახალ ლიტერატურას, რომელიც ასახავს არსებულ მდგომარეობას საბანკო სისტემის რეგულირების სფეროში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამით გათვალისიწინებული ფინანსების და აღრიცხვის საგნების პრაქტიკულ მეცადინეობების წარმართვა სასურველია განხორციელდეს ექსელის გამოყენებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას 10 კრედიტის მოცულობით. გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით კათედრის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისი კათედრიდან გამოყოფილია დარგის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან, მემორანდუმები სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. თუმცა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და დამსაქმებლები უკმაყოფილოები არიან პრაქტიკული კომპონენტის მოცულობით საგანმანათლებლო პროგრამაში და მათი სურვილია პრაქტიკა/სტაჟირებას უფრო მეტი კრედიტები დაეთმოს. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული სტუდენტების 65 პროცენტი ითხოვს პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდას, ხოლო ბიზნესის სფეროდან დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ პროფესიული მომზადების თვალსაზრისით კურსდამთავრებულთა ხარვეზად დამსაქმებელთა 76%-ს მიაჩნია პრაქტიკული სამუშაოსთვის მზაობა/უნარების ნაკლებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები ეკონომიკურ აგენტებთან;
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა გაიზიაროს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პოზიცია და გაზარდოს პრაქტიკის კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოდულში ან ცალკეული მოდულების ფარგლებში შესთავაზოს სტუდენტებს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს, ასევე, სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესი. მაგისტრანტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზით დადგინდა სწავლა-სწავლების მეთოდების ასპექტით გამოვლენილი ტენდენციები. მაგალითად, ფაკულტეტის გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობა ითხოვს, რომ უფრო მეტად იქნას გამოყენებული სწავლების აქტიური ფორმები, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსებში. ასევე, სილაბუსებში ასახულია სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტებისთვის სილაბუსები ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე თსუ ელექტრონული პორტალის საშუალებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე, მაგრამ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევით სტუდენტთა ფაკულტეტის გამოკითხულ სტუდენტთა 54% მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ იღებს უკუკავშირს მიღწეული სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროგრამის ფარგლებში დაწესებულებაში მეტწილად უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები და გარემო. სტუდენტი იღებს საჭირო ინფორმაციას როგორც აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, ისე კარიერული განვითარების მიმართულებით, თუმცა აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება. დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევის შედეგები, რაც ზოგიერთი მიმართულებით სტუდენტთა უკმაყოფილებაზე მიუთითებს - მათ შორის ძირითადი მიმართულებებია კონსულტაციები, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სერვისები, აკადემიური მიღწევების გაუმჯიობესებისათვის საჭირო დახმარება და ა.შ. სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და შესაბამისი მიმართულებით სტუდენტების დაკვალიანებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებაში არის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომლის მუშაობაც, როგორც კვლევის შედეგებით, ისე დაწესებულებაში ვიზიტისას შეფასდა პოზიტიურად. სტუდენტებთან ინტერვიუსას ასევე გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ, სტუდენტები არ იცნობდნენ მათთვის დაწესებულ რეგულაციებს (ეთიკის კოდექსი, დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები). ზედაპირულია პლაგიატის წინააღმდეგ არსებული საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაზე წვდომაც, თუმცა დაწესებულება გეგმავს შესაბამისი პროგრამის ინტეგრირებას სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს ინდივიდუალური კონსულტაციები სტუდენტებთან სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა აღნიშნული სერვისებით კმაყოფილების მაჩვენებელი დაბალია (გამოკითხულთა 1/5). რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომისათვის საჭირო კონსულტაციებს, სტუდენტებთან და შესაბამის პერსონალთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტში პოზიტიური სურათია. დაწესებულება აქტიურად ახორციელებს გაცვლით პროგრამებს სტუდენტებისათვის და გეგმავს პროგრამის სრულ ინტერნაციონალიზაციას. დაწესებულების ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში. ერთადერთი გარემოება, რა მიმართულებითაც სასურველი იქნებოდა მუშაობის გაძლიერება, სტუდენტთა ინფორმირებაა გაცვლითი პროგრამებისა და სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში ხშირად ტარდება პროგრამასთან შინაარსობრივ თანხვედრაში მყოფი ღონისძიებები, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. დაწესებულებაში ტარდება დასაქმების ფორუმები. კარიერული განვითარების მიმართულებით დაწესებულება თანამშრომლობს სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, ხშირ შემთხვევაში თანამშრომლობა თვალსაჩინო შედეგებს იძლევა. სასურველი იქნებოდა დაწესებულებას სხვა მიმართულებითაც გაეძლიერებინა სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების კვლევის შედეგები (ანგარიში) ○ სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში (ცხრილის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია) ○ საჯარო ლექციები და თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები (ანგარიში)
რეკომენდაციები: ○ სტუდენტებს გაეცნოს ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს და ვალდებლებებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტუდენტის სტატუსზე. მათ შორის აუცილებელია დაწესებულებაში გაიზარდოს პლაგიატის შესახებ არსებული ცნობიერება. ○ სტუდენტებს მიეწოდოთ სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ეფექტური საკომუნიკაციო გზებით მიმდინარე გაცვლით პროგრამებზე, აქტიურ ვაკანსიებზე, სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების შესაძლებლობებზე და ა.შ. ○ გადაიხედოს სტუდენტებთან საკომუნიკაციო არხები და უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის ეფექტური გავრცელება;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 20 ECTS მოცულობისაა. მაგისტრობის კანდიდატი მოდულის შესაბამისად ირჩევს სავარაუდო თემას და შემდეგ ხდება შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ხელმძღვანელის შერჩევა.

მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დადასტურდა, როგორც სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში, ისე უკვე დაცული სამაგისტრო ნამუშევრებისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალის ნაშრომებისა და კვალიფიკაციის შესწავლისას.

სამაგისტრო პრორამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა გარემოება, რომ ხელმძღვანელებს ხშირ შემთხვევაში უწევთ ბევრად მეტი ძალისხმევის გამოჩენა სტუდენტებთან მუშაობისას, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ძირითად მიზეზებად სახელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ხარვეზი და აკადემიური წერისათვის და კვლევების ჩასატარებლად საჭირო უნარებისა და ცოდნის ნაკლებობა.

სტუდენტებთან ინტერვიუსას კი გაირკვა, რომ სტუდენტების უმრავლესობა, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომზე მომუშავე სტუდენტები, არ იყენებენ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსს, რასაც აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის არ ქონით ხსნიან. ვიზიტის დროს შერჩევით გადამოწმდა სამაგისტრო ნაშრომები. სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომების უმრავლესობა ძირითადად ეყრდნობა ქართულ წყაროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები (ანგარიში);
- პროგრამაში ჩართულ პერსონალის ნაშრომები და რეზიუმეები;
- პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები (შემთხვევითი წესით შერჩეული);

რეკომენდაციები: ○ სტუდენტებს გაეცნოთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის რესურსი, რათა სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენონ უახლესი კვლევები; ○ გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოდულის არჩევის შემდეგ შესაბამისი ცოდნის არ ქონის გამო სამაგისტრო ნაშრომის შეუსრულებლობა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. წავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განხორცილებაში ჩართულია 60 აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, მათ შორის აკადემიური 48 კაცი, რომელთა შორის პროფესორია 11, ასოცირებული პროფესორი 27, ხოლო ასისტენტ პროფესორი 10, ყველა მათგანი აფილირებულია. სასწავლო პროცესში ჩართულია 12 მოწვეული პერსონალი.

კოეფიციენტები კი შემდეგნაირია: აფილირებული აკადემიური პერსონალი

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან=0,68; აფილირებული აკადემიური პერსონალი აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან = 0,123

მოწვეული აკადემიური პერსონალი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან=0,017

მოწვეული პერსონალი აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან = 0,03

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან = 48/12

ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა

ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა 0,57-ია ჩარიცხულ სტუდენტებთან მიმართებაში, ხოლო 0.102-ია აკადემიური პერსონალი აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შეადგენს 61-ს.

2013-2018 წლებში აკადემიური პერსონალის რაოდენობა შემცირდა 4 ერთეულით, ხოლო 2013-2018 წლებში მოწვეული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 5 ერთეულით.

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) შემდეგნაირია: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 276, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 178, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 158, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები131. სამეცნიერო გრანტებში ჩართულობა 50, ხოლო ტრენინგებში ჩართულობა 51.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებით და სხვა დამხმარე დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. ამასთანავე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგის მოწინავე სპეციალისტები და შესაბამისად, გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში და მონაწილეობს სხვადასხვა აქტივობებში. რომელთა შორისაა აუდიტორიების, სველი წერტილების შენობის, ეზოსა და სკვერის ფართობის დასუფთავება და მოვლა, ლიფტების ტექნიკური გამართულობა, უწყვეტი და უსაფრთხო დენის წყაროს უზრუნველყოფა, გათბობის სიტემების მუშაობა.

გარდა ტექნიკური სამუშიებისა დამხმარე პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაში.

ადმინისტრაციული პერსონალი მაღალკვალიფიციურია. სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება თსუ-ში მოქმედი რეგულაციებით. სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ- პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; ასევე, განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა („ა“ და „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის; ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ .

დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014;
- დადგენილება №81/2018 , 26 თებერვალი, 2018- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/812018;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 29/2017 დადგენილება;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს2017წლის27მარტის N30/2017 დადგენილება.
- სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშები https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/;
- უნივერისტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- გაფორმებული მემორანდუმები;
- წარმოებული დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი CV-ები;
- წარმოდგენილი სილაბუსები;
- აღნიშული დადასტურდა შეხვედრებით და გასაუბრებით შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.
- პირადი გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტები კმაყოფილები არიან პროგრამის ხელმძღვანელებით, აკადემიური,

მოწვეული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციით; ○ პირადი გასაუბრებით დადგინდა, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს სწავლების მიზნების და სწავლების მეთოდების შესაბამისი უნარები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თსუ-ის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში

(სტრატეგიული მიზანი 10).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების (N:39/04; 23.12.2015) საფუძველზე 2015-2016 წლებში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდა 15 მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტი. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით განხორციელდა 8 მიზნობრივი სამეცნიერო პროექტი. აღნიშნულ გრანტებში მონაწილეობა მიიღო 35 ძირითად შტატში მყოფმა და 2 მოწვეულმა პროფესორმა, სულ 37 პროფესორმა.

ამ პროექტებში პროფესორებთან ერთად მონაწილეობდნენ მაგისტრანტებიც. კვლევის შედეგები დაიბეჭდა ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში. მთელ რიგ პუბლიკაციებში ავტორებად წარმოდგენილია მაგისტრანტებიც.

2013-2017 წლებში ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და ძირითადი აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობით ჩატარდა სამი ადგილობრივი და ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

აკადემიური პერსონალი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობას ღებულობს გავლით პროექტებში მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში. პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების პარალელურ რეჟიმში ისინი ატარებენ საჯარო ლექციებს და ახორციელებენ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან ერთად. 2014-2015, 2015-2016, 2017-2018 სასწავლო წლებში გაცვლითი პროექტში თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან მონაწილეობდა 5 მკვლევარი (მარი კიურის პროგრამით - 1; ერაზმუს + პროგრამით - 4).

ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად აანალიზებს აქტივობას საგრანტო კონკურსებში, ასევე, აფასებს სამეცნიერო პროდუქტიულობას, რაც დეტალურად მოცემულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში.
ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება/გაანალიზება და მასალები გადეცემა თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. ყოველწლიური ანგარიშები ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ანგარიშის ელექტრონული ვერსიები ინახება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში და განთავსებულია თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის. ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბზინესი''. ჟურნალის გამოცემა ხორციელდება პერიოდულად (2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ, 2015 წლიდან კი კვარტალში ერთხელ). ჟურნალში საკმაოდ დიდი ინტენსივობით აქვეყნებენ პუბლიკაციებს პროგრამაში ჩართული ძირითადი და მოწვეული პროფესორები, ასევე დოქტორანტები. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დაკომპლექტებულია როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალით, ასევე, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესურით.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემატური შეფასებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მაღალია, თუმცა, კვლავ საჭიროა კვლევების პროდუქტიულობის, ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის ზრდა. აღნიშნული ხარვეზის გასაუმჯობესებლად ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს ფინანსური რესურსებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მხარდაჭერით მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის, ასევე, ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებისათვის. მიმდინარე ეტაპზე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიცირებით, შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები.

2018 წლის დასაწყისში თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით შემუშავდა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა თსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას. უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნას სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმა, ან შეფასების პროცესში ჩართული იქნას უცხოელი შემფასებლები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის

დეპარტამენტი თვითშეფასების კითხვარს ელექტრონული სახით დაუგზავნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კითხვარების გავრცელებას და შევსებული კითხვარების დაბრუნებას დადგენილ ვადებში. თვითშეფასების კითხვარებში წარმოდგენილი იქნება განვლილი კალენდარული წლის ინფორმაცია. პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავს და აფასებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამეცნიერო საბჭოები, ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს, მის ანალიზს და სამოქმედო გეგმას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის და სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე, აკადემიურ საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი გამოხატულებაა სამეცნიერო მივლინებების ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც აისაება სამეცნიერო მივლინებებზე დახარჯული თანხების დინამიკაში. პერსონალის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თსუ-ს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, კერძოდ, აღნიშნული ასახულია მე-7 და მე-10 სტრატეგიულ მიზნებში.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა გამოკითხვის შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ გამოკითხული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალის 66% კმაყოფილია ან ძალზედ კმაყოფილია უნივერსიტეტში არსებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით. ამასთან, გამოკითხულთა 65% კმაყოფილია ან ძალზედ კმაყოფილია მათი მიღწევებისა და წარმატების აღიარების ხარისხით. თსუ-ისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი და საერთაშორისო ცნობადობა, რაც ძირითადად მიიღწევა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობითა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიცირებით, შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალრეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები. დაწესებულება რეგულარულად ატარებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის

შეფასებას. სასწავლო საქმიანობა ფასდება სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების მიზნით სემესტრულად ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვით. კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირება თსუ-ს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ლინკები: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances https://www.tsu.ge/data/image_db_innova/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%202017.pdf https://www.tsu.ge/data/image_db_innova/Analizi-2016.pdf https://www.tsu.ge/data/image_db_innova/Analizi-2014.pdf ○ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება; ○ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის #29 და #30 დადგენილებები; ○ სამეცნიერო მივლინებებზე დახარჯული თანხების დინამიკა; ○ დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი; ○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//; ○ სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; ○ სამეცნიერო მივლინებებზე დახარჯული თანხების დინამიკა; ○ დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი,

ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი; https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//.

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014).
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k//;
- სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- წარმოებული დოკუმენტაცია;
- წარმოდგენილი CV-ები;
- წარმოდგენილი სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კარგი იქნება თუ აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო ინტენსიურად ჩაერთვებიან სხვადასხვა ტრენინგებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ხორციელდება თსუ-ს მეათე კორპუსში, გამოცდებისთვის ასევე იყენებენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დარბაზებს.

თსუ მეათე სასწავლო კორპუსის, საერთო ფართობია 23000 მ2, ხოლო სააუდიტორიო ფართობი - 5140მ2. აუდიტორიების რაოდენობა - 114. სტუდენტების განთავსებისათვის აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა შეადგენს 4643-ს.

კორპუსში ფუნქციონირებს 8 ლიფტი, შენობა მყარია, გადახურვა ახალი გამოცვლილი, ფანჯრები, სანიტარული კვანძები წესრიგშია.

სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა და ცალკეული ოთახები აღჭურვილია თანამედროვე კონდიცირების სისტემებით, სალექციო აუდიტორიებში არის სასწავლო თანამედროვე მერხები, მაგიდები, სკამები, დაფები და განათების სისტემები.

უცხოური ენების სწავლებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები ტექნიკურად აღჭურვილია აუდიო ფაილების გამშვები აპარატურით; სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის, აკადემიურ პერსონალს გააჩნია სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია საკანცელარიო ნივთებითა და მასალებით,

სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi). სასწავლო კორპუსში განთავსებულია სპორტული დარბაზი

და კვების ობიექტი, სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი სკვერი, ველო-პარკინგი, სკამები.

ფაკულტეტზე დანერგილია ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 3 რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია 117 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, სადაც სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან, ასევე 4 კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანობაში აღჭურვილია 67 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, პორტაბელური კომპიუტერით, პრინტერით და პროექტორებით;

ფაკულტეტის გასაკუთრებით რესურსს წარმოადგენს სასწავლო სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ შორის: მაკროეკონომიკური კვლევების ლაბორატორია STATA-ს პროგრამული უზრუნველყოფით, ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია, ბიზნეს-ეთიკის ცენტრი, ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი, ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი, მარკეტინგული კვლევის ცენტრი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი, სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით, სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, ტურიზმის კვლევითი ცენტრი,

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს პრაქტიკული ცენტრები, აღრიცხვა, ანალიზის და აუდიტში, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებში. ამასთანავე სასწავლო კორპუსში, რომელშიც ხორციელდება პროგრამა, 2016 წელს შეიქმნა ბლუმბერგის საერთაშორისო სასწავლო კვლევითი ლაბორატორია. ლაბორატორიაში დანერგილია სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტებისათვის. ლაბორატორია აღჭურვილია სპეციალური ტექნიკით, ფუნქციონირებს 12 ტერმინალის ბაზაზე. ლაბორატორიაში სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და მკვლევარებს აქვთ წვდომა საინფორმაციო პლატფორმაზე - Bloomberg Professional, რომელსაც იყენებს 320 ათასზე მეტი ბიზნეს ლიდერი და ფინანსური პროფესიონალი მსოფლიოს მასშტაბით. სტუდენტებს აქვთ საშუალება იმუშაონ პლატფორმასთან და გაეცნონ უახლოეს ტენდენციებს, მიიღონ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ბაზრებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში დასაქმებული პროფესიონალისათვის.

ფაკულტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბონ და განახორციელონ საკუთარი ბიზნეს იდეები, შექმნან სასურველი პროდუქციის პროტოტიპები და პირველი ნაბიჯები გადადგან საკუთარი Start-Up ბიზნესის დასაწყებად. თსუ-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (Fab Lab)

აღჭურვილია უახლესი 3D პრინტერით, 3D სკანერით, თანამედროვე ლაზერული მჭრელით, პროგრამირებადი ჩარხით (CNC) და სხვა.

სასწავლო პროგრამას გააჩნია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმავე შენობაში განთავსებული სამკითხველო დარბაზი, სადაც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ უახლეს ბიზნეს და ეკონომიკურ ლიტერატურაზე. თსუ-ს ბიბლიოთეკებში განთავსებულია უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და სევე სხვა სახის ლიტერატურით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.

სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალა თანამდროვეა, ეფუძნება დარგის მიღწევებს და გამოწვევებს. ფაკულტეტზე დანერგილია მსოფლიო ბესტსელერების თარგმნის და სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკა, თუმცა კარგი იქნება, რომ აღნიშნული გამოყენებული იქნას სპეციალიზაციის ყველა მიმართულებით.

აღრიცხვა აუდიტში გამოყენებულია საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელოები; ასევე პროფესორ-მასწავლებლები ამუშავებენ და ამზადებენ ე.წ. რიდერებს.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები წერენ სახელმძღვანელოებს, სავარჯიშოთა კრებულებს და სხვა დამხმარე მასალას და მათ ინტენსიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოების უმეტესობა გამოყენებულია მსოფლოს მოწინავე ბიზნეს სკოლის სასწავლო პროცესში.

ლაბორატორიები და ოთხები გარემონტებულია, თუმცა ფოიეები და კორიდორები საჭიროებს მნიშვნელოვან სარემონტო სამუშაოებს. საჭიროა ასევე უფრო მეტი აუდიტორების უფრო სრულფასოვნად აღჭურვა, რადგან ნახევარზე ნაკლებ აუდიტორიებში არის პროექტორის ხელმისაწვდომობა.

სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურა სრულად არის ბიბლიოთეკების წიგნად ფონდში წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკურად პერსონალურად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა, აუდიტორიების, სასწავლო და ტექნიკური რესურსების დათვალიერება. ლაბორატორიებში ფიზიკურად ჩაირთო ტექნიკა და გამოიცადა მათი გამართული

მუშაობა. შემოწმდა სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების პროგრამული უზრუნველყოფა, ფიზიკურად იქნა გაშვებული Bloomberg Professional-ის, ბალანსის, MS Project-ის და სხვა პროგრამები, შემოწმდა WI-FI-ის წყაროები, დათვალიერდა სველი წერტილები, სკვერი და სამუშაო სივრცეები. შერჩევითი მეთოდით სამკითხველო დარბაზში გადამოწმდა სახელმძღვანელოები და რიდერები.

- დათვალიერდა უნივერისტეტის, ფაკულტეტის და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდები. წაკითხული და გაანალიზებული იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.
- ასევე აღნიშნული დადასტურა შეხვედრებით და გასაუბრებით შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.
- ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში სრულად არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელებიც იქნა გადამოწმებული (იხ. გვ. 69)
- ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა რომელიც თვითშეფასებაში წარმოდგენილი იყო 79,69%, აღნიშნული სრულად შეივსო და ამჟამად შედგენს 100%-ს.
- აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ისინი არიან უზრუნველყოფილი სამუშაო პირობებით, აუცილებელი ტექნიკური და საკანცელარიო საშულებებით;
- სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსები და ტექნიკური საშუალებები. სემინარების, პრეზენტაციების და საშინაო დავლებებისათვის იყენებენ ფაკულტეტის ტექნიკურ საშუალებებს. ასევე მათ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა პრაქტიკული თუ კვლევითი პროექტები უნივერსიტეტის დაფინანსებით.
- წარმოდგენილი პროგრამა, მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა სასწავლო მასალებთან;
- წარმოდგენილი სილაბუსები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად. კერძოდ, მეათე კორპუსის შენობის არა აუდიტორული სივრცეები გარემონტდეს, მოეწყოს სტუდენტების სამუშაო კუთხეები მობილურის, პლანშეტებისა და კომპიუტერებისთვის მუდმივი დენის წყაროთი. უფრო მეტ აუდიტორიაში იყოს ხელმისაწვდომი პროექტორი და კომპიუტერი. დაიდგას ყავის, გამაგრილებელი სასმელების და წახემსების აპარატები.
- ზოგიერთი მიმართულებით საჭიროა ლიტერატურის გადახალისება ძირითადად მოდულებში, მაგალითად ტურიზმში, მარკეტინგსა და ფინანსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება ფინანსების და აღრიცხვის საგნები ტარდებოდეს ინფორმაციული ცხრილების (მაგალითად ექსელის) გამოყენებით და არსებობდეს შესაბამისი საკლასო ოთახები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- წინა აკრედიტირებული პროგრამის შემდეგ გამოიცვალა ფანჯრები, გარემონტდა და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გახდა საპირფარეშოები, მოეწყო რესურსცენტრები და ლაბორატორიები, გაუმჯობესდა წიგნადი ფონდი.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობა ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და ასევე სტუდენტები.

ფინანსური სახსრების გამოყენება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საჭიროების შესაბამისად ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და/ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. საჭიროებისამებრ, ფაკულტეტისთვის ყოველწლიურად განსაზღვრული ხარჯვითი ნაწილი განიცდის ცვლილებას.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩართულობას. 2011 წლიდან ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი (3,28 მლნ ლარი) ზრდადია და 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 5,96 მლნ ლარი შეადგინა. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩართულობას.

სტუდენტებისთვის განსაზღვრულია ფინანსური მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ცოდნის ამაღლებას, გამოცდილების შეძენას, მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას. პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მივლინების მიზანს წარმოადგენს ფართო სამეცნიერო წრეებისათვის და სხვა დაინტერესებული აუდიტორიისათვის საუნივერსიტეტო კვლევებისა და მიღწევების გაცნობა, საქმიანი კონტაქტების დამყარება მსოფლიოს წამყვან

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ავტორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა და 2018 წელს შეადგინა 105 000 ლარი.

ფაკულტეტზე ხორციელდება სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი თანხები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი კმაყოფილები არიან ანაზღაურების ოდენობით. უნივერსიტეტს ხელფასების გაცემის ადმინისტრირებისთვის ემსახურება კომერციული ბანკი.

ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერთან, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა ბაკალავრიატში შემცირებულია, ფინანსურად არ ექნებათ პრობლემა, 7-ივე მიმართულების მოდულების შენახვისთვის. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების უმეტესობა ძირითადად ირჩევს აღრიცხვა აუდიტის და ფინანსების მიმართულებას. ფინანსურმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ ამჟამად ფაკულტეტი პირდაპირ იყენებს მისი შემოსავლების მხოლოდ 53%-ს, თუ შემოსავლები დახასიათდა შემცირებადი ტენდენციით მაშინ ფაკულტეტი ნაკლებ წვლილს შეიტანს უშუალოდ თსუ-ს ცენტრალურ ბიუჯეტში.

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 27 დეკემბრის სხდომის ოქმი #5, https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/5_2017.pdf ;
- ფაკულტეტის ბიუჯეტის 2018 წლის ხარჯვითი ნაწილი დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 21 დეკემბრის სხდომის ოქმიდან #11;
- ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისა და ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა 2011-2018 წწ. ;

- ფაკულტეტის პერსონალის და ასევე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პერსონალის მივლინებების დინამიკა 2011-2018 წწ. ;
- ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა 2011-2018 წწ.;
- წარმოდგენილი პროგრამა;
- წარმოდგენილი სილაბუსები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის მართვის ორგანო - რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ა) უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; ბ) უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება; გ) რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება; ე) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ვ) საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტების დებულებებით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სულ დასაქმებულია 3 პირი, მათ შორის სამსახურის უფროსი, 2 უფროსი სპეციალისტი და 1 სპეციალისტი კონტრაქტით. თავისი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო საინფორმაციო

და მატერიალური რესურსით. ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილია საკუთარი სამუშაო სივრცით, საჭირო ინვენტარით, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერით, სამსახურებრივი ელ-ფოსტით. ხარისხის უზრუნველყოფის ყველა თანამშრომელი საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის მომხმარებელია.

თსუ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს შემდეგ აქტივობებს: 1) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე; სილაბუსების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, კრედიტების სწორად გამოყენება, სავალდებულო/ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების სიახლე და ადეკვატურობა და სხვ. 2) სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება საგანგებოდ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათ დამტკიცებამდე; საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე) ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების გათვალისწინებით: წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, შეფასების სისტემის შესაბამისობა საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან, დასაქმების სფეროების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და სხვ. 3) დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში.

2017 წლის დეკემბრიდან თსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის/პროგრამების აკრედიტაციის ვადით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი; ბ)პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის

წარმომადგენელი/წარმომადგენლები; გ) უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს თსუ-ს აკადემიურ თანამდებობას; დ) სტუდენტი/სტუდენტები; ე) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები; ვ) როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში); ზ) პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში); თ) შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში); ი) უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში); კ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; ლ) თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი; მ) სხვა წევრი/წევრები. აღნიშნული რეგულაცია გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას თსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: ა) სტუდენტები; ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი და მასწავლებლები; გ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები - ქართველი და უცხოელი სპეციალისტები; დ) პოტენციური დამსაქმებლები; ე) პროგრამის კურსდამთავრებულები; ვ) პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების შედეგად ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებსა და აკადემიურ საბჭოებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N04/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სილაბუსის შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“; ○ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება N02/03 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სარეკომენდაციო ფორმის დამტკიცების შესახებ“; ○ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის N153/2017 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“; ○ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება N 67/2018 „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; ○ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 7 მარტის N03/03 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარების დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე არის შესრულებული, სრულად და ამომწურავად პასუხობს პროგრამული აკრედიტაციით განსაზღვული სტანდარტის მოთხოვნებს. თვითშეფასებაში სრულადაა ჩართული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები და თან ახლავს სათანადო ანალიზი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასახვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ იქნა ცალკეული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული.

დაწესებულებაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. დამტკიცებულია თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სტუდენტური ცხოვრება; ინსტიტუციური განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #97. 02.04.2018. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების დამტკიცების თაობაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი #3, 16.09.2011;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება #80/2018. 26 თებერვალი, 2018. ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიშები;
- აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანგარიშები სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური უფროსთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, პერსონალის გამოკითხვები, დამსაქმებლის გამოკითხვები. დამუშავდა და გაანალიზდა 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო კურსებისა და ლექტორთა შეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, ინფორმაცია მიეწოდათ ლექტორებს/შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელებს/ პროგრამის ხელმძღვანელებს ინდივიდუალურად შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით. პროგრამის შეფასება მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ანალიზის შედეგად შემუშავებული წინადადებები გააცნო პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის კომიტეტის წევრებს, ფაკულტეტის საბჭოს წევრებსა და ზოგადად დაინტერესებულ მხარეებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება #67/2018, 19 თებერვალი, 2018. ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2017 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები; https://www.tsu.ge/ge/faculties/economics/i2muj2dvj3n43jnr/qhlpt-vpdcdsct8bu//
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები სასწავლო კურსების/ლექტორების შეფასების მიზნით;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური უფროსთან, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 66

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გოჩა თუთბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ეკა გეგეშიძე

ნინოგვინდაძე

დავით ცირამუა